„ეფალო, აკურთხე გვირგვინი ამის წელიწადისა სიტკბოებითა შენითა“

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(15) 2012 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში

10 იანვარი, 2012 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი, შალვა ჯაბადარი, გიორგი ბეჟიტაშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, პრესსამსახური, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები ესწრებოდნენ. თათბირის მონაწილეებს მუნიციპალიტეტის გამგებლის ახლადდანიშნული მოადგილე გიორგი ბეჟიტაშვილი წარუდგინეს, რომელიც მანამდე ამავე გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსად მუშაობდა.

თათბირზე ფართო სპექტრით იყო განხილული ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც სოფლებში მოსახლეობის მიერ კრებებზე იქნა წამოჭრილი და შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში – ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში იქნა განსახილველად წარდგენილი.

როგორც თათბირზე ბ-ნმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, 2012 წლის ბოლოსათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებსა და ქალაქში საბოლოოდ უნდა გადაიჭრას სასმელი წყლის პრობლემა, არ დარჩება არც ერთი უბანი, სადაც ეს საკითხი სასმელი წყლის ონკანის დონეზე მაინც არ მოგვარდება. ამიტომ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც, მიზნად ისახავს, ეფექტურად გაიხარჯოს თანხა, საბოლოოდ დაესვას წერტილი იმ პრობლემას, რომელიც ათეული წლებია აწუხებს მოქალაქეებს. ამ პროგრამის თითოეული პროექტის განსახორციელებლად წელსაც მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი – თითოეულ ტერიტორიულ ერთეულზე გასულ წელს გამოყოფილ თანხებს მიმდინარე წელს უკვე 30% დაემატა. საბავშვო ბაღების შენობების რემონტი, სასმელი წყლის მილების ამოცვლა, სოფლის შიდა გზების მოწესრიგება, რა საკითხიც კი მოსახლეობამ მიიჩნია უპირველესად მოსაგვარებლად, სწორედ ის იქნება ამჯერად მოგვარებული.

თათბირზე თანმიმდევრობით, მუნიციპალიტეტის თითოეული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი სავარაუდო საკითხები იქნა განხილული და საბოლოოდ დახვეწილი.

თათბირის მონაწილეებმა, ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულებმა ისაუბრეს დღეისათვის ადგილებზე არსებულ მდგომარეობაზე, კიდევ ერთხელ გამოიკითხეს სოფლის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მთავრობის მიერ თითოეულ ოჯახზე გამოყოფილი 30 ლარიანი ვაუჩერის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

გიორგი ბეჟიტაშვილი

დაიბადა 1979 წლის 11 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში.

2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

2002-2006 წლებში მუშაობდა საგარეჯოს რაიონის გამგეობის ეკონომიკური რეფორმების და პროგნოზირების განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

2005-2006 წლებში საგარეჯოს რაიონის გამგეობის ეკონომიკური რეფორმების, საბუღალტრო აღრიცხვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ინფრასტრუქტურის, ვეტერანთა და საგანგებო სიტუაციათა სამსახურის მთავარ სპეციალისტად.

2006-2007 წლებში იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების გამგე.

2007-2008 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სპეციალისტია.

2008-2009 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტია მუნიციპალური შესყიდვის საკითხებში.

2009-2010 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავრი სპეციალისტია.

2010-2011 წლებში მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში, შესყიდვების განყოფილების უფროსად.

2011 წლის დეკემბრიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

არის დასაოჯახებელი.

ვაუჩერი ყველა ოჯახს

მეოთხე გვერდი

საფერავი – ინფარქტის წინააღმდეგ

მეშვიდე გვერდი

დეკემბრის ბოლო დღეების ქრონიკა

მეორე-მესამე გვერდები

ახალი წლის წინა დღეები

„კანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ფონდი“ საქართველოში მოღვაწეობის ათეულ წელზე მეტხანს ითვლის. სწორედ ამ ფონდის წარმომადგენლებმა ათეულობით ინვალიდის ეტლი შემოიტანეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „დღიდან საქართველოში თავიანთი მიზანმიმართული საქმიანობის დაწყებისა. ფონდის წარმომადგენლები საქართველოში ცოლ-ქმარი ჯუტი და დავით რისები არიან. ამერიკიდან ისინი იმდენად ხშირად ჩამოდიან თავიანთი საჩუქრებით, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში იცნობენ და დიდი სიხარულით ხვდებიან. ვინ იცის, რამდენ ადამიანს მიანიჭეს ბედნიერება, მისცეს საზოგადოებასთან ურთიერთობის შანსი – მათ მიერ ნაჩუქარი ინვალიდის ეტლების საშუალებით ოთახში გამოკეტილი ინვალიდები უკვე ქუჩებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოძრაობენ უპრობლემოდ. მათ თბილისში „ინვალიდთა კოალიციაც“ კი დააარსეს, სადაც ინვალიდები თავადვე ამზადებენ ინვალიდის ეტლებს, რომლის მართვაც ხელების საშუალებით, ე.ი. წელსზემოთ ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ.

– ჩვენ, მე და ჩემი მეუღლე იმ უამრავი ადამიანის წარმომადგენლები ვართ საქართველოში, ვისაც ძალიან უხარია იმ პროცესებში ჩართვა, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ვახორციელებთ, – მეუბნება ქალბატონი ჯუტი, – ჩვენს უკან ის ხალხია, რომელსაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს თავიანთ მიერ გაცემული სიკეთე და სიხარული, რასაც მათი საჩუქრები იწვევს ადამიანებში. ეს ადამიანები იმ ეკლესიის მრევლი ვართ, რომლებიც სპეციალურად ვმარხულობთ, ვზოგავთ თანხებს კვების პროდუქტების შეძენისას და ეს დანაზოგი ფონდში შეგვაქვს. წლის პროექტები თითქმის განვახორციელეთ, გვაქვს კიდევ ახალი პროექტები, რომელთა განხორციელებასაც საქართველოში ვაპირებთ. ეს არის საბავშვო ბაღების, სკოლების, მოხუცთა სახლების , საექიმო ამბულატორიებისათვის დახმარება. უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ საბავშვო ბაღებში ჩვენ სოლარულ სისტემას – მზის პანელებს დავამონტაჟებთ – ამით საბავშვო ბაღებს მუდმივად ექნებათ ცხელი წყლით სარგებლობის საშუალება. მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში იხსნება საექიმო ამბულატორია, ჩვენ მათ დავეხმარებით საჭირო ინვენტარით, იმავე რაიონის სოფელ გალავანში მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა ჰქონდა – ჩვენ მათ მოვუწესრიგეთ ეს პრობლემა.. ბოდბეში არსებულ უპატრონო ბავშვთა სახლში განვახორციელეთ პროექტები. დღეს (29 დეკემბერს) საგარეჯოში ვართ. ჩვენ აქაურ ინვალიდებს ჩამოვუტანეთ ინვალიდის ეტლები, რომლითაც მათ გადაადგილება შეეძლებათ პულტით, ჩვენ თვითონ ვნახავთ მათ ემოციებს და გადავცემთ შემდეგ ჩვენი ფონდის წევრებს, ჩვენი ეკლესიის მრევლს.

ქალბატონ ჯუტის და ბატონ დავითს ადგილზე დახვდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, მოადგილე გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელები, თანამშრომლები, რომელთაც მეგზურობა გაუწიეს იმ ოჯახებში, სადაც თვითონვე უნდა მიეტანათ ინვალიდის ეტლები. გიორგიწმინდაში მათ ინვალიდის ეტლები ნათელა ჭიაბერაშვილსა და თამარ ხოსიტაშვილს მიუტანეს, საგარეჯოში რუიზან ელმეთაშვილს, ავთანდილ ფირყულაშვილსა და მარგარიტა ყორღანაშვილს.

საოცარი სითბოთი, სიხარულის ცრემლებით შეხვდნენ ისინი ფონდის წარმომადგენლებს, მადლობის ცრემლებით გამოხატეს მადლიერება და სიხარული.

30 დეკემბერი, 2011 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა დამდეგი ახალი წელი მიულოცეს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებს და მომავალი ახალი 2012 წლის სამუშაო გეგმები გააცნეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ი.პ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ინიციატივით და მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, საგარეჯოს კულტურის სახლში გაიმართა საახალწლო კონცერტი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები. ღონისძიების დასასრულს მოწვეულ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები და ტკბილეული გადაეცათ.

29 დეკემბერი, 2011 წელი

ამ დღეს ხომ მართლაც საპატიო სტუმრები ჰყავდა საგარეჯოს „სათნოების სახლი“ №1-ისა და №2-ის ბენეფიციარებს. მათთან ხელდამშვენებული მივიდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, მისი მოადგილე გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი. „სათნოების სახლის“ №1-ის ბენეფიციარებს (90 კაცი) – 70 ოჯახს გადაეცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს საჩუქარი – კვების პროდუქტები, რომლებშიც შედიოდა: ქათამი, თევზი, ზეთი, კარაქი, თაფლი, კანფეტი, ნამცხვარი, მაკარონი, გაზიანი სასმელი, ბრინჯი. ბენეფიციარმა ოთარ გარსევანიშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს საკუთარი ლექსი წაუკითხა და ამით გამოხატა თავისი და სათნოების სახლის ბენეფიციართა მადლობა გამოჩენილი ყურადღებისა და საჩუქრებისათვის.

სიხარულით შეხვდნენ მათ „სათნოების სახლი“ №2-ის ბენეფიციარები – 130 კაცი (83 ოჯახი),რომელთაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ კვების პროდუქტები გადასცა.

ასევე, სამაჩაბლოდან ლტოლვილ 24 და აფხაზეთიდან ლტოლვილ 27 ოჯახს კვების პროდუქტები გადასცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა და მიულოცეს ახალი წელი.

ქრონიკა

30 დეკემბერი, 2011 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მრავალშვილიან და მრავალსულიან ოჯახებს, ასევე, სამამულო ომის მონაწილეებს დამდეგი წელი მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა, გამგებლის მოადგილემ გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა. ბ-ნმა გიორგი ღვინიაშვილმა საქართველოს პრეზიდენტისა და კახეთის რწმუნებულის საჩუქრები გადასცა წყაროსთავში მცხოვრებ ნოდარ (ელიზბარ) დათუნაშვილის 13 სულიან ოჯახს, ნინოწმინდაში მცხოვრებ ოსიკო (იოსებ) შიოშვილის 5 შვილიან ოჯახს, გიორგიწმინდელ რევაზ გოგიშვილს, საგარეჯოელების ომარ კაკუტაშვილს (9 შვილი და 12 შვილიშვილი), ვასილ ქვრივიშვილის – სამამულო ომის მონაწილის 13 სულიან, გელა ქურხულის ექვსშვილიან ოჯახებს. მათვე გადაეცათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს საჩუქრები.

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილმა,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ახალი წლის მილოცვასთან ერთად თანადგომა აღუთქვეს ამ ოჯახებსა და ყველა იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც ერის, ქართველი ხალხის გამრავლებას ემსახურებიან. მათ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს ოჯახში დახვედრილი პატარებისა და მოხუცების მიმართ.

ახალი წლის წინა დღეები

31 დეკემბერი,2011 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს წინასაახალწლო დღეებში არც ის პიროვნებები დავიწყებია, რომელთაც ღვაწლმოსილი ცხოვრებით იცხოვრეს და დღეს სამშობლოს, ერისა და ქვეყნის, რაიონის წინაშე ვალმოხდილები საოჯახო საქმეებს შებმიან. სულ ასეთ 20 ოჯახს გადაეცა მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელით საახალწლო საჩუქრები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გია ჩალათაშვილის,საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარის, პარლამენტის წევრ ზაზა გულიკაშვილის სახელით სულ 550 ოჯახს გადაეცა საახალწლო საჩუქრები.

საქართველოს პრეზიდენტის სახელით ჩვენს მუნიციპალიტეტში 160 ოჯახს გადაეცა საახალწლო საჩუქარი.

საღამოს ღია ცის ქვეშ ქ. საგარეჯოს ცენტრში გაიმართა საახლწლო კონცერტი, მონაწილეობას იღებდნენ ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები: თიკა ჯამბურია,თიკა მახალდიანი, თემო საჯაია და ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“. საღამოს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა საგარეჯოელებს მიულოცათ დამდეგი შობა-ახალი წელი, ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვა.

საღამო ულამაზესი ფეიერვერკით დასრულდა

დეკემბერი

ამ რამდენიმე წლის წინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, ამ აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მოსწავლეები თუ შეძლებდნენ ქართულ ენაზე სწორად მეტყველებას. ქართულ ენაზე საახალწლო ღონისძიებების მოწყობა კი ხომ სულ აბსურდად მოეჩვენებოდათ. ახლა კი, ქვეყნის ხელისუფლებისა და შესაბამისი სამინისტროს ძალისხმევით ზოგადსაგანმანათლებლო განათლების სისტემაში გატარებული გარდაქმნების წყალობით, ეს ყველაფერი უკვე რეალობაა. სწორედ ამის დასტური გახდა დეკემბერში იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართულენოვანი სექტორის მეორე და მეექვსე კლასების მოსწავლეთა მიერ მოწყობილი საახალწლო ზეიმი, რომლის ორგანიზატორი დაწყებითი კლასების მასწავლებელი თეა გურგენიძე გახლდათ. ზეიმზე აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა ქართულ ენაზე წაიკითხეს საახალწლო ლექსები, იმღერეს, გამოხატეს თავისი სურვილები და ოცნებები, იმხიარულეს. მოზეიმეთ, ასევე ქართულ ენაზე სწავლა და საახალწლო სურვილების ასრულება უსურვა თოვლის პაპამ – მეექვსეკლასელმა თურან მახაროვმა.

მსგავსი საახალწლო საზეიმო ღონისძიებები სკოლის სხვა კლასებშიც მოეწყო.

2011 - სამშენებლო წლის ფინიში



რუსთაველის ქუჩა

კოსტავას ქუჩის №18 სახლის სახურავის შეცვლა

შიბლიანის ხევის გაბიონები

სანამ ახალი ნომერი გამოვიდოდა

სტუმრად მოსალისე მასწავლებელთან

3 იანვარს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის გიორგიწმინდის საჯარო სკოლის უცხოელ მოხალისე მასწავლებელს ბრიტანი თოლარს,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სახლში (ჭიაბერაშვილების ოჯახში) ეწვია და ახალი წელი პირადად მიულოცა.

ბრიტანი თოლარი გასულ წელს ჩამოვიდა საქართველოში პროექტის „ ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში და სოფ. გიორგიწმინდის საჯარო სკოლაში ინგლისურ ენას ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად ასწავლის.

საჩუქრები სახანძრო - სამაშველო სამსახურს

6 იანვარს საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას წარმომადგენელმა ალექსანდრე კალანდაძემ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურს (უფროსი ზაქარია ოტიაშვილი) ხანგრძლივი გამოყენების საგნები და ინვენტარი საჩუქრად გადასცა, რომელშიც შედის წყლის „პომპა" (ფასი 250 ლარი), პროჟექტორი (150 ლარი), ბენზინის ხერხი (302 ლარი), „ბალგარკა" (148,80 ლარი), მავთულის საჭრელი მაკრატელი (40 ლარი), სახანძრო სახელური 55 მილიმეტრიანი 6 ცალი (840 ლარი). როგორც საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას წარმომადგენელმა ალექსანდრე კალანდაძემ გვითხრა, ამ ინვენტარისა და საგნების შეძენა მოხდა გრანტის „ადგილობრივი განვითარებარეფორმების მხარდაჭერა და კრიზისების მართვის გეგმების იმპლემენტაცია – გაეროს, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონებში" ფარგლებში, რომელსაც პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებს საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა" პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია PCPM-თან ერთად.

– საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას მიერ შემოტანილი ხანგრძლივი გამოყენების საგნები და ინვენტარი მართლაც რომ მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, ვიყოთ მობილურები, უსწრაფესად და დროის მცირე მონაკვეთში შევძლოთ ბრძოლა ყველანაირ სტიქიურ უბედურებებთან, რაც გვაძლევს შანსს ვიხსნათ ადამიანების სიცოცხლე და მათი ქონება განადგურებისგან, – გვითხრა საუბარში სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსმა ზაქარია ოტიაშვილმა.

სურათებზე: საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას მიერ სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურისათვის გადაცემული ხანგრძლივი გამოყენების საგნები და ინვენტარი

ვაუჩერები სოფლის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის

ჩვენი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მთავრი პრიორიტეტია. ამასთან დაკავშირებით, ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც დასასრულს უახლოვდება სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერების დარიგების კამპანია.

ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელია:

მიწის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის: მოხვნა ან სხვა სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია ან სასუქის შესაძენად. სასუქის ვაუჩერით შეძენა შესაძლებელი იქნება სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც პროგრამისათვის დარეგისტრირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამასთან, 2012 წლის 1 ივნისიდან 31 ჩათვლით შესაძლებელია გამოუყენებელი ვაუჩერის განაღდება.

სულ ჩვენს მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერს მიიღებს 15307 მოსახლე, აქედან ქალაქ საგარეჯოში 4276 კომლი.

საინტერესო საკითხავი

რატომ ნაძვის ხე?

საკითხავია, საახალწლო ხედ რატომ ითვლება ნაძვი და არა ფიჭვი, ალვა, თუნდაც სოჭი?

მწვანე, სურნელოვანი, მზეთუნახავი ნაძვი უხსოვარი დროიდან მიჩნეულია განსაკუთრებულ ხედ. ძველ გერმანელებს სწამდათ, რომ ნაძვში ცხოვრობს ტყის სული, რომელიც იცავს ყველა მცენარეს, ნადირს და ფრინველს. ამიტომაც ნაძვთან ხშირად მიდიოდნენ ტომის ბელადები, თაყვანს სცემდნენ ძლიერ სულს, რომ მისგან მიეღოთ კეთილი განწყობა. მაშხალების შუქზე ელავდა მეომართა რკინის ქუდები და იარაღი, საიდუმლოდ გაისმოდა მათი აღთქმა, ნაძვის დათოვლილ ტოტებზე მებრძოლები კიდებდნენ ნადავლს, ირმის ტყავებს, მოსართავებს.

ნაძვის თაყვანისცემის ეს წეს-ჩვეულება გადაიღეს ჰოლანდიელებმა, უფრო გვიან – ინგლისელებმა. ნაძვს ახლა მიიჩნევენ არა სულის ადგილსამყოფელად, არამედ უჭკნობი სიცოცხლის სიმბოლოდ, მარადიული ახალგაზრდობის და ძალის გამომხატველად.

რუსეთში საახალწლო ნაძვის ხე პეტრე პირველის სპეციალური ბრძანებით შემოვიდა.მან განკარგულება გასცა 1700 წლის პირველ იანვარს ყველა სახლში მოერთოთ ნაძვის ხე და გამხიარულების მიზნით ადამიანებს ერთმანეთისთვის მილოცათ ახალი წელი. იმ დღეს ქალაქში ქუხდნენ ზარბაზნები, ელვარებდა ფეიერვერკი. მას შემდეგ სხვადასხვა ბრჭყვიალა სათამაშოებით მოკაზმული ნაძვის ხე ერთნაირად ახარებს პატარებსაც და დიდებსაც.

ტროპიკულ ქვეყანაში კი, სადაც ნაძვი არ ხარობს, მას ცვლიან სამხრეთის მცენარეებით. ვიეტნამში, მაგალითად, იყენებენ ატმის ხის ტოტებს, იაპონიაში – ბამბუკს – ქლიავის ხის ტოტებთან შეხამებულს, რაც სიძლიერის, დღეგრძელობისა და სწრაფი გამრავლების სიმბოლოა.

იანვარი ლათინური სიტყვაა და წლის პირველ თვეს აღნიშნავს. სახელი ეწოდა რომაელთა ღმერთის იანუსის პატივსაცემად. შემოიღეს რომში. ძველი ქართული წარმართული კალენდრით იანვარს ჰქვია აპანი, აპნისი.

იანვარში დაბადებული ადამიანი არ არის მომთხოვნი, არც საკვების ან ჩაცმის მიმართ ამჟღავნებს პრეტენზიას – კმაყოფილდება იმით, რაც აქვს. ავტორიტეტულ და გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობისას მეტ გამოცდილებასა და ცოდნას იძენს. ადვილად ექცევა სხვების გავლენის ქვეშ. არ უყვარს ზედმეტი კრიტიკა და ცდილობს, არც სხვა გააკრიტიკოს.

განახლდა ხელმოწერა გაზეთ „გარეჯის მაცნეზე" იჩქარეთ!

შობა ქრისტესი

(ძველი სტილით 25 დეკემბერი, ახალი სტილით 7 იანვარი).



ქრისტეს მიერ საყვარელნი ძმანი.

ღამეცა ანგელოზთა ლოცვა ქრისტეს შობისა.

აღგვლოცია ჟამსა იესეს საჩინოდ ანგელოზთა ცასა და ყოველსა ქვეყანასა ყოველთა ადამიანთა ბოროტისა განმიტევებელსა ნათელი საყოველთაო ლიტონსა ძალისა ღმერთისასა, ღამეცა ანგელოზთა ბრძანა ლოცვა შობისა სათნოებასა (ლუკა 2.14.)

*ჰაი საკრებულო საკვირველი და ლიტონი ბრწყინვალი ბრძანებანი კაკვირველებულნი უღირსქმნიან შობელსა ბერძენსა, აღგვლოცნენ ლაოდიკელნი. ძმანი ეკლესიანი აგვლოცნენ. ქალაქანი აქვს, ციხენი აღიტონენ, ლოცვანი წარკოფილნი, ბაძეთა ლიტონსა ბერ ყოველი ადამიანი, ბაძეთა ლიტონსა ბერ ყოველი ადამიანი და კაცნ ბერკა. ლიტონ ბერ ბერ ეფლოვნი ბერკა ბერკა. ეაბ-ბერკა ბაკვლაკეთა ბაბერკა უბერკნი აბერკა ერთა აკერბერი ბერბა-ლოთ, ბეთლეემსა ლოდთაკენ ბერ ბერ. ამოგთმცა, ბეთ ბერ ბერ ბერ ალბერი და ლიტონსა კაკბერბერ ბერ. ბერბა ბერ ბერ ბერ

საგარეჯოს პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსი გია მიდელაშვილი:

„მუდამ თქვენს გვერდით გვიგულეთ“

საგარეჯოს პოლიციის რაიონულ სამმართველოს კიდევ ერთი ახალი უფროსი ჰყავს, – პოლიციის აკადემიადამთავრებული, 32 წლის მაიორი გია მიდელაშვილი, რომელსაც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე თბილისის ისანი-სამგორის შსს სამმართველოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე აქვს ნამუშევარი. საგარეჯოში სამუშაოდ კი 2011 წლის ოქტომბრიდან გადმოვიდა.

– ბატონო გია, რას ეტყვით საგარეჯოელებს, მოსახლეობას. რა შედეგებით დაამთავრეს საგარეჯოელმა პოლიციელებმა ძველი წელი და შეეგებნენ ახალს?

– როგორც იცით, ამ თანამდებობაზე დიდი ხანია არაა რაც ვმუშაობ, მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ ქვეყნის შს სისტემაში გატარებული რადიკალური გარდაქმნებისა და რეფორმების წყალობით ქართველ პოლიციელებს მუშაობის საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი.

მუნიციპალიტეტში მინიმუმამდეა შემცირებული საერთო დანაშაულებათა რიცხვი, მათ შორის ისეთი სახის, როგორიც ნარკომანია და მძიმე დანაშაულია. თანამედროვე აღჭურვილობა, პოლიციელთა პროფესიონალიზმი იძლევა საშუალებას მთლიანად ვაკონტროლოთ სიტუაცია მუნიციპალიტეტში და გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები. წინსვლა გვაქვს გამოვლენილ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლებშიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოელმა პოლიციელებმა, არც თუ ისე ურიგო მაჩვენებლებით გააცილეს ძველი და შეეგებნენ ახალი წლის დადგომას.

– მათგან მაინც ვის მუშაობას გამოჰყოფდით?

– შესაქები და ღირსეული პოლიციელები ბევრი გვყავს სამსახურში, მაგრამ მათგან პირველ რიგში ჩემს მოადგილეებს კახა კახათელიძეს, ივანე ბეგაშვილს, განყოფილების უფროსს შალვა გოგოლაშვილს, იორმუღანლოს განყოფილების უფროსს გივი მამისაშვილს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმძღვანელს თომა ქურდოვანიძეს დავასახელებდი, რომელთა საქმიანობასა და პროფესიონალიზმზე დიდადაა დამოკიდებული პოლიციის მთლიანი განყოფილების წარმატებული საქმიანობა.

– ბატონო გია, როგორ მიულოცავდით საგარეჯოელებს, რაიონის მოსახლეობას შობა-ახალ წელს?

– პირველ რიგში ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით შობა-ახალ წელს მივულოცავ ყველა საგარეჯოელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, გამრავლებას, ქვეყნის გამთლიანებასა და ყოველივე სიკეთეს ქართველ ხალხთან ერთად. დაე, ეს წელი თითოეული ჩვენგანისათვის ყოფილიყოს ახალ-ახალი წარმატებების მიღწევის, მშვიდობის განმტკიცების, საქართველოს გამთლიანებისა და გაბრწყინების წელი. საქართველოში აღარ გვენახოს გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა. ამის მაგივრად ხვავი და ბარაქა, ლხინი და ბედნიერება დამკვიდრებულიყოს ყველა ოჯახში.

შობა-ახალ წელს მივულოცავ ჩვენი პოლიციის ყველა თანამშრომელს, ვუსურვებ სიკეთეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მხნეობას, იმ დიდი და საპასუხისმგებლო მისიის წარმატებით განხორციელებას, რაც მათ ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიური მშვიდობიანი ცხოვრების რიტმის დაცვის საქმეში აკისრიათ. ეს არის ჩვენი პოლიციელების უმთავრესი მიზანი და როგორც აქამდე, მომავალშიც მუდამ გვერდით გვიგულონ საგარეჯოელებმა.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

ჩვენი თანამემამულე

თოხლიაურელი ფიზიკოსი, რომლის სახელსაც ევროპის ჰევრ ქვეყანაშია ცნობილი

მირიან ტაბიძის, თოხლიაურელი ფიზიკოსის სახელი აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ფიგურირებს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ბირთვული ფიზიკის მკვლევართა შორის, რომელსაც იწვევენ ბირთვული კვლევების სხვადასხვა ცენტრებში სათანამშრომლოდ.

ტაბიძეების გვარი ხონის რაიონის სოფელ ივანდიდთან ყოფილა დაკავშირებული. მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ივანდიდიდან ტაბიძეების რამდენიმე ოჯახი ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში გადასახლებულა, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის დიდი ბაბუა. რაც შეეხება თოხლიაურელი ტაბიძეების ისტორიას, ბატონი მირიანის განმარტებით, ეს დედამისის ქ-ნ თამარ მეკალუაშვილის წყალობით მომხდარა, რომელიც დედის უდროოდ გარდაცვალების გამო აქაურ ბებიასა და პაპას გაუზრდიათ. ბ-ნი მირიანის მამას – დუგლას ტაბიძეს საგარეჯოელები კარგად იცნობდნენ გასულ საუკუნეში რაიონის სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობით, სადაც მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. განათლებით სამთო ინჟინერს, ბ-ნ დუგლასს 13 წელი ტყიბულის მაღაროში აქვს ნამუშევარი. ამ ქალაქში ცხოვრობდა მისი ოჯახიც, სადაც მომავალმა ფიზიკოსმა რვაწლიანი განათლება მიიღო.

ამასობაში მირიანის დედის გამზრდელები „ასაკში შევიდნენ“ და ვინაიდან სხვა მემკვიდრე და მიმხედავი არ ჰყავდათ, ტაბიძეების ოჯახი ტყიბულიდან თოხლიაურში გადმოსახლდა და დამკვიდრდა.

– სკოლაში (საგარეჯოს III საშუალო სკოლა) კარგად ვსწავლობდი და ჩემი ინტერესიანობის გამო ბევრი მასწავლებლის საყვარელი მოწაფე ვიყავი. მათემატიკის მასწავლებლები ფიქრობდნენ, რომ მათემატიკოსი გამოვიდოდი. ჩემი საყვარელი ქართული ენის მასწავლებელი ლიდა ლაფაჩიშვილი ენათმეცნიერის კარიერას მიწინასწარმეტყველებდა... რაც შეეხება ფიზიკას, მეცნიერების ამ დარგის მიმართ ინტერესი მეცხრე კლასიდან გამეზარდა, რაც პედაგოგ თენგიზ კობიაშვილის დამსახურებაა. ციცინო კვასხვაძემ, რომელიც, სულ რაღაც 6 თვეს მასწავლიდა მეათე კლასის სასწავლო წლის ბოლოს, საბოლოოდ გადამაწყვეტინა ფიზიკოსი გავმხდარიყავი. როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, უკვე ვიცოდი, რომ ბირთვულ ფიზიკას გავყვებოდი და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დუბნის კვლევით ინსტიტუტში მუშაობაზე ვოცნებობდი. უნივერსიტეტი 1980 წელს დავამთავრე წარჩინებით, ხოლო სადიპლომო ნამუშევარი დუბნაში შევასრულე და სწავლა თსუ-ს ასპირანტურაში გავაგრძელე, – იგონებს ჩვენი ფიზიკოსი თანამემამულე...

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დისერტაციის დაცვამდე მუშაობდა სერპუხოვოს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში აკადემიკოს იური პროკოშკინთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ 1992 წლიდან 1996 წლამდე სამეცნიერო მუშაობას ფაქტიურად ვეღარ ახერხებდა. 1996 წელს კი კვლავ დუბნაში გაემგზავრა და ევროპის თავიდან გავლა მოუხდა. სამაგიეროდ 1998 წლიდან უკვე მოვიდა სახელი და აღიარება. ამ წლიდან 2002 წლამდე რამდენიმეჯერ იყო ხანგრძლივი მივლინებით შვეიცარიის ქალაქ ჟენევის ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN), მუშაობდა საერთაშორისო თანამშრომლობათა ALICE და DELPHI-ის ფარგლებში. პარალელურად 1999 წლიდან 2005 წლამდე, ასევე, ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა იტალიის ქალაქ ფრასკატის ნაციონალურ ლაბორატორიაში – 2004 წლიდან დღემდე აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის ქალაქ იულიხის ბირთვული კვლევების ინსტიტუტთან. ამავე დროს, 2007 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (ფიზიკის მიმართულებით) მოდელირების ლაბორატორიის გამგე.

როგორც ბატონმა მირიანმა განმარტა, მისი სამეცნიერო კვლევების ინტერესთა სფერო ძირითადად ჰადრონთა სპექტროსკოპიით, ეგზოტიკური ნაწილაკების ძიებით, CP ინვარიანტების დარღვევით, პოლარიზებული ანტიპროტონების ნაკადების შექმნის გზების ძიებით შემოიფარგლება. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი, რომელთა უმეტესი ნაწილი მაღალრეიტინგულ ევროპულ ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

სამეცნიერო კვლევებთან და მუშაობასთან ერთად ბატონ მირიანს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, რომელმაც ქვეყანას, ასევე შესანიშნავი და ღირსეული შვილები აღუზარდა. მისი მეუღლე ქ-ნი თინათინ ამბარდნიშვილი თოხლიაურის ამბულატორიის ოჯახის ექიმია. უფროსმა შვილმა სკოლა თოხლიაურში დაამთავრა და ამჟამად იტალიური და ესპანურენოვანი ჯგუფების ტურიზმის მენეჯერია თბილისის ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში. 2004 წელს ოჯახის თბილისში გადასახლების შემდეგ, მათმა ბავშვებმა დაამთავრეს თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. ბ-ნი მირიანის მეორე ქალიშვილი თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრანტია და პარალელურად მუშაობს შემოსავლების სამსახურში პორტალის ოფიცრად. უმცროსი – ვაჟი კი კომპიუტერულ მეცნიერებას ეუფლება იმავე უმაღლეს სასწავლებელში.

ბ-ნ მირიანს თბილი და კეთილი განცდები აკავშირებს საგარეჯოსთან და თოხლიაურთან.

– საგარეჯო ჩემი მშობლიური რაიონია, თოხლიაური კი მშობლიური სოფელი, სადაც მაქვს მამა-პაპის დანატოვარი კერა და გავატარე ბავშვობის დაუვიწყარი, დიდი ნაწილი, – ამბობს იგი, – ბოლო დრომდე თოხლიაურში მქონდა რამდენიმე ჰექტარი მიწა და გარკვეულ დროს სოფლის მეურნეობასაც ვუთმობდი. ეს სახალისო სამუშაო და ამასთან, ოჯახის რჩენის ერთ-ერთი საშუალებაც იყო, მაგრამ ბოლო წლებში მეცნიერული კვლევა და მუშაობა სულ უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს ჩემგან. ოჯახის წევრებიც თავისი საქმით არიან დაკავებული. ამ მიზეზთა გამო ვატყობ, სოფელთან ნელ-ნელა იკარგება კავშირი. გული მწყდება, მაგრამ რას ვიზამთ, ასე მოითხოვს საქმე და ჩვენც ამ მოთხოვნებს, დროს უნდა ავუწყოთ ფეხი.

– რას ვიზამთ, იმ ერთი ნათქვამისა არ იყოს – მეცნიერება მსხვერპლს მოითხოვს და, როგორც ჩანს, გამონაკლისი არც ბატონი მირიანია. როგორც შევიტყვეთ, სულ ახლახანს ბ-ნ მირიანს ოპერაციაც გადაუტანია, რაც ატომთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო დასჭირდა და საბედნიეროდ კეთილად დასრულდა.

ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ვუსურვებთ თავის ოჯახთან და ქვეყანასთან ერთად ჩვენს თოხლიაურელ თანამემამულესა და დიდ მეცნიერს.

გივი დაბახიშვილი

ეს საინტერესოა

ღვინო ინფარქტის წინააღმდეგ

არქეოლოგიური აღმოჩენებით ირკვევა, რომ ადამიანმა მეღვინეობა დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინათ დაიწყო, თუმცა ამპელოგრაფია (მეცნიერება ვაზის შესახებ) ამ კეთილშობილი მცენარის არსებობას ათი ათას წელზე მეტ ხანად მიიჩნევს. ვენახები გაშენებული ჰქონდათ ბაბილონში, ეგვიპტეში, ასირიაში, იაპონიაში, ჩინეთში, აგრეთვე, ძველი იბერიისა და კოლხეთის მიწაზე. ქართველი ერის ისტორიული ფესვები განუხრელად გადახლართულია ვაზის ფესვებთან.

ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ საქართველოში ქრისტიანობა ვაზის ჯვართან ერთად შემოიტანა. არსებობს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი – „შენ ხარ ვენახი“. ღვთისმშობელს მარცხენა ხელი ყრმა იესოსთვის მოუხვევია, ხოლო მარჯვენათი თორმეტმარცვლიანი ყურძნის მტევანი უჭირავს. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში შეიქმნა მუსიკალური ჰიმნი, „შენ ხარ ვენახი“, რომლის ავტორია დიდი დავით აღმაშენებელის შვილი – მეფე დემეტრე პირველი. რწმენით გაჟღენთილი და სულში ჩამწვდომია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მისი სიტყვები:

„შენ ხარ ვენახი, ახლადაღყუავებული,
მორჩი, კეთილი, ედემს შინა ნერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული“.

ყურძნის ღვინო თავისი წარმოშობის ბუნებით, ქიმიური შემადგენლობითა და დიეტური თვისებებით საოცრად ესადაგება ადამიანის ფიზიოლოგიას. ღვინოს დადებითი, ბიოენერგეტიკული და გამაძლიერებელი მოქმედებები გააჩნია ადამიანის ორგანიზმისათვის. ღვინოში არსებული აზოტმჟავა ხელს უწყობს მამაკაცის პოტენციის ამაღლებას. ის სასიცოცხლო ძალებს აღადგენს, მატებს სიმხნევესა და ტონუსს, ამაღლებს ხანდაზმულობის პერიოდს, ამიტომაცაა რომ ღვინოს „მოხუცთა რძეს“ უწოდებენ.

ყურძნის ნატურალურ ღვინოში აღმოჩენილია უნიკალური ნივთიერება ტრიოქსისტილბენი, რომელიც აფერხებს ათეროსკლეროზის, სიბერის, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, ზრდის გულის კუნთის კუმშვადობას. მეცნიერულად დადგენილია, რომ იმ რეგიონებში, სადაც ზომიერად და ხშირად ეტანებიან ღვინოს, აღინიშნება ქოლესტერინის დაბალი მაჩვენებელი და შესაბამისად, გულის კუნთის ინფარქტის განვითარების დაბალი რისკი.

კახეთის რეგიონის იმ კონტიგენტს, რომელიც სისტემატურად, მაგრამ ზომიერად, დღეში სამას გრამამდე ღებულობდა ნატურალურ მშრალ ღვინოს, გულის კუნთის ინფარქტის განვითარების რისკი სამჯერ ნაკლები ჰქონდა იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ არ სვამდა, ხოლო ექვსჯერ ნაკლები – იმ ჯგუფთან მიმართებაში, რომლებიც ნებისმიერ ალკოჰოლიან სასმელს უზომოდ იყენებდა. ასე, რომ ღვინის უარყოფით თვისებებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა მოსახლეობაში აღინიშნება მისი ჭარბი რაოდენობით მოხმარება. ბუნებისაგან ნაბოძები უძვირფასესი კომპონენტებისაგან შემდგარი უნიკალური სითხის ზომაზე მეტად მიღება ორგანიზმისთვის საზიანო და შეიძლება სიკვდილის მიზეზიც გახდეს. თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანისთვის ღვინის თუ ნებისმიერი ალკოჰოლიანი სასმელის ჭარბ მოხმარებას, ამაში თვალნათლივ დავრწმუნდებით, თუ გადავხედავთ სამედიცინო და სამართლებრივი ორგანოების სტატისტიკურ მონაცემებს. მოსწრებულად უთქვამს დიდ გოეთეს – „კაცობრიობა გაუგონარ წარმატებას მიაღწევდა, მას რომ მოეხერხებინა ფხიზელი ყოფილიყო“.

დიდი რაოდენობის ალკოჰოლის მიღება უშუალოდ უარყოფითად მოქმედებს გულზე. ალკოჰოლის მომეტებული კონცენტრაციისას სისხლში შეინიშნება გულის მარცხენა პარკუჭის ფუნქციის დაქვეითება, რის შედეგადაც გულის შეკუმშვის ძალა მცირდება. გამხდარ ადამიანებსაც კი, რომლებიც სისტემატურად ეტანებიან ალკოჰოლს, აღენიშნებათ გულის ცხიმოვანი გადაგვარება სტრუქტურული ცვლილებების სახით. გარდა ამისა, ალკოჰოლის ხშირად მიღების შემდეგ, არცთუ იშვიათად შეიმჩნევა არტერიული წნევის მატება, რაც გულის კუნთის გადატვირთვასა და კორონალურ გართულებებს იწვევს.

ალკოჰოლის გავლენით, სისხლძარღვთა ხანმოკლე გაფართოებისა და სისხლის მოწოლით გამოწვეული სითბოს შეგრძნების გამო, ბევრს ისეთი აზრი შეექმნა, თითქოს სპირტიანი სასმელები აფართოებს სისხლძარღვებს და აქვეითებს სისხლის არტერიულ წნევას. ამ მეთოდით სისხლძარღვთა გაფართოება და წნევის შემცირება ძალზე ხანმოკლეა, ამას მოჰყვება უფრო ძლიერი და ხანგრძლივი სპაზმი, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ორგანიზმისათვის.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ევროპის მრავალ ქვეყანაში, ღვინით მკურნალობა ფართოდ გავრცელდა, რადგანაც მას მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ. ღვინის სასარგებლო თვისებები კი უკავშირდება უამრავ ნივთიერებას, რასაც ეს „ღვთიური სითხე“ შეიცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფენოლური ნაერთებია, რომელიც ადვილად ასათვისებელი ფლავონოიდებითაა წარმოდგენილი და გაძლიერებული ბიოლოგიური აქტიურობით გამოირჩევა. ფლავონოიდები ახდენენ სხვადასხვა კლასის ფერმენტთა რეგულაციას, რაც მათი ფარმაკოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრში გამოიხატება. კახური წესით დამზადებულ ღვინოში, როდესაც წვენს ადუღებენ ჭაჭასთან ერთად და დუღილის დასრულების შემდეგ ჭაჭაზე გარკვეული დროით აყოვნებენ, მასში ორჯერ მეტია პოლიფენოლები, ვიდრე ევროპულად დამზადებულ სითხეში.

ღვინოში კიდევ ერთი უნიკალური თვისება აღმოაჩინეს: ღვინო სამკურნალო პრეპარატების ფარმაკოლოგიურ ეფექტს აძლიერებს.

ბიოქიმიის დარგში ცნობილი ექსპერტის, პროფესორ კის მტკიცებით, შამპანურის ტიპის ღვინო ააქტიურებს სამოცი ტიპის ბიოქიმიური გადამცემის გამომუშავებას, რომელიც ამძაფრებს მგრძნობელობით აღქმას. შამპანურის განუმეორებელი არომატი აძლიერებს ცხვირის ღრუში განსაკუთრებული უჯრედების მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ტვინის იმ ცენტრალურ უჯრედებთან, რომლებიც პასუხს აგებენ ემოციებსა და მახსოვრობაზე. შუშხუნა ღვინო ხელს უწყობს გულის შეტევის თავიდან აცილებას.

ცნობილია, რომ მცენარეთა შორის ვაზი ყველაზე დიდი რაოდენობით შთანთქავს მზის სხივებს. დიდ რუს მწერალს, მაქსიმ გორკის ასეთი ფრთიანი გამონათქვამი აქვს: ***„ღვინოში ყველაზე მეტია მზე, გაუმარჯოს ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ღვინის დამზადება და ამით ადამიანის სულში მზის ძალა შეჰყავთ“.***

ძველ საბერძნეთში ძალიან უყვარდათ ღვინო, მაგრამ მისი მოხმარებისას დიდ ზომიერებას იჩენდნენ. ელინები იტყოდნენ: ***პირველი ჭიქა ჯანმრთელობისაა, მეორე – კმაყოფილებისაა, მესამე – ტკბილი ძილი.*** ნათქვამია სიბრძნე ზომიერებაშიაო, სწორედ ნატურალობა და ზომიერება უნდა იქნეს გათვალისწინებული უპირველეს ყოვლისა ამ უძვიფასესი სითხის – ღვინის მიღების დროს.

მასალა მომზადდა ავთანდილ კოჯლამაზაშვილის წიგნიდან

„ღვინო ინფარქტის წინააღმდეგ“

ისტორია?!

„მართალთა შინა ფიაღში“

ლექსო თულაშვილი

ადამიანებს რამდენიმე ბედნიერი თარიღი აქვთ, დაბადების დღე, ქორწინების დღე, სტუდენტობის დღე, სკოლის დამთავრების დღე და კიდევ რამდენი გამორჩეული. ზოგს ერთ დღეს არგუნებს მხოლოდ ბედი ბედნიერებისას, ზოგს კი შუა გზაზე გამოაცლის საბედნიერებლად გასააზრებელს.

ლექსო თულაშვილს 9 იანვარს დაბადების დღე აქვს. 31 წელი გავიდა მისი დაბადებიდან, მაგრამ მხოლოდ 24 წელი იყო მის სიცოცხლეში საზეიმო.

იანვარში, შობის თვეში დაბადებულს, არაფერი და არავინ არ უნდა მორეოდა. უფალს განსაკუთრებულად უნდა დაეცვა ქრისტესშობის თვეში დაბადებული. მაგრამ, ბედისწერა გარდაუვალი იყო...

ბოლო ბედნიერი დღე მისთვის პატარა შვილის, გვარის გამგრძელებლის – თევდორეს დაბადება იყო, ის ძალიან პატარა დარჩა – მამამ კი დახუჭული თვალებით წაიღო შვილზე ოცნება.

იანვარი ახალი წლიდან, სიახლესთან და სიხარულთან ასოცირდება. ლექსო თულაშვილის მშობლებისათვის ტკივილით სავსეა, რადგან იანვარმა აჩუქათ შვილი, მაგრამ მრავლისძლიერმა ენერგიით ვერ შეძლო მისი დაცვა.

არყოფნა მაინც არსად იქნება მათთან. პატარა თევდორე ახალ წელთან ერთად, თავისი მამის ლამაზ ხსოვნას აღნიშნავს. ნუ მოუშლის ლამაზ დღესასწაულებს ღმერთი ამ პატარა ბიჭს და თეთრი წვერით დააბეროს მამის სიკეთისა და სილამაზის გამგრძელებელი.

ოჯახი

ალექსანდრა (შურა) მირცხულავა

ხუთი გაუსაძლისი, მძიმე წელი მაშორებს შენგან, ჩემო დედა. საოცრად კარგი დედა იყავი, კარგი ადამიანი. მეამაყებოდით შენც და მამაჩემიც, რომელიც ათი წლის წინ წავიდა ამქვეყნიდან, ომგამოვლილი, ნაბრძოლი. ორივე კარგი სპეციალისტები იყავით თქვენი საქმისა, გიყვარდათ ადამიანები.

ნათელში ამყოფოს თქვენი სული ჩემო დედიკო.

შენი შვილი ნათელა მირცხულავა

სადღეგრძელოები

იმ კაცს გაუმარჯოს, ვისი რწმენის ეკლესიის გუმბათს ფრესკად საქართველოს გეოგრაფიული რუკა ახატია – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

არჩილ დიდებულიძე:

საქართველოს სადღეგრძელო:

დალოცვილი იყოს უფლისაგან საქართველოს მთელი მიწა-წყალი თავისი მაცხოვრებლებით, განურჩევლად ეროვნებისა, ვისაც საქართველო და ქართველი ხალხი უყვარს. უფალმა დალოცოს და ამრავლოს – ტყეში ხე-მცენარეები, საშეშეც და სამასალეც, უფალმა ამრავლოს ნადირი და ფრინველი, ორფეხი და ოთხფეხი, შინაურიცა და გარეულიც, ზღვაში თევზი და ზღვის კომბოსტო. უფალმა ძალა და ღალა არ გამოულიოს ფუტკარს. უფალმა ამრავლოს მინდვრის კულტურები – ერთწლიანი და მრავალწლიანი. ამრავლოს: სტაფილო, ბოლოკი, წიწაკა, ორქიდეა და ბამბუკი, და ყველაფერი ეს ჩვენი ერის შვილებს სიკეთეში მოახმაროთ.

წინაპრების სადღეგრძელო:

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ჩვენი წინაპრების სულები. ვისაც არ დაუზოგავს საკუთარი თავი და ოჯახები, რათა საქართველოში ვაზი კვლავაც, საუკუნეების შემდეგაც ყვავილობდეს. აყვავდება ვაზი, დაისხამს მტევნებს, მამაპაპური ტრადიციებით ჩავირთვლიანებთ, ქვევრს მივაბარებთ, დავაღვინებთ და სანამ ჭიქას ვერევით, სანამ ტუჩებთან მიგვაქვს, მათი მოგონება-შესანდობარი ნუ დაგვავიწყდება.

სუფთა სინდისის სადღეგრძელო:

„სუფთა სინდისი საუკეთესო სასთუმალია“-ო, გაუმარჯოს იმ ადამიანს, ვინც ცხოვრების რთული გზა ისე იარა, უშეცდომოდ, არავისგან ელოდება საყვედურს და როცა იმ ქვეყნად წავა, მის საფლავზეც მხოლოდ წმინდა ცრემლი და სანთელი დაეღვენთება. არავინ შეურაცხყოფს არც ცოცხალს და არც მის საფლავს, იძინებს მშვიდად.

სიყვარულის სადღერგრძელო

სიყვარულის სადღეგრძელოს აფიშირება, ან მისი დოგმად გამოცხადება არ შეიძლება, რადგან რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი სიყვარულის ცალკეული ფორმაა გამოხატულების. მე ჩემს აზრს მოგაწვდით – ისეთ სიყვარულს გაუმარჯოს, უსინათლოს რომ დაანახვებს „ნოდარ დუმბაძის ხატიას“. სმენადაკარგული რომ გაიგებს შეყვარებულის ნათქვამს, შეყვარებული მუნჯის მიმიკებით რომ მიუხვდება მეორე შეყვარებულის სიყვარულის ახსნას და ყველა შემთხვევაში რომ გამართლდება მერე ეს სიყვარული.

ძვირფასო მკითხველო, თქვენგანაც ველით სადღეგრძელოებს, ანეგდოტებს, ხუმრობებს.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს. სიკეთის, სიხარულის, შრომითი შემართების, დასახული გეგმების სრულად განხორციელების წელი ყოფილიყოს 2012 წელი თქვენთვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო;
გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჯიაურელს. ჯანმრთელობა, სიხარული და წარმატებები არ მოგკლებოდეთ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო;
გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

ამაკაცისათვის ლამაზი თარიღის შესრულებას ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ბიძას, სახელგანთქმულ მოჭიდავეს, გასული წლების საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულს, საქართველოს ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ტარიელ როსტომაშვილს. კაცს, პიროვნებას, რომელიც ყველას გვეიმედება თავისი სიკეთითა და სიყვარულით, ადამიანობითა და ვაჟკაცობით. გვიყვარხართ, გვეამაყებით, გვეიმედებით და არა მარტო ჩვენ. თქვენ საზოგადოება სიყვარულით გაფასებთ, ამას ის ტურნირებიც მოწმობს, რომლებიც ტრადიციად იქცა და თავისუფალ ჭიდაობაში საუკეთესოების გამოსავლენად იმართება.

იცოცხლეთ, იხარეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

თამარ და ნინო შალვაშვილები

დაბადებიდან 50 წლის იუბილეს ვულოცავთ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარს მღვდელ გიორგი პავლოვს. დაგლოცოთ ღმერთმა და გაგაძლიეროთ.

თინა, თამარი, ნინო

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს და დიდ ქომაგს, ქალური დირსებებით შემკულ, კეთილშობილ ადამიანს, კარგ მეოჯახეს, ოჯახის ერთგულ დედასა და მეუღლეს **სონიკო ბაღდადაშვილს.** ოჯახის ეკონომიურად გაძლიერებას, სიკეთეს, შვილების ბედნიერებას გისურვებთ ჩვენო სონიკო, შენ და შენს ძვირფას მეუღლეს – სოსოს. კიდევაც დიდხანს, ერთად აღგენიშნოთ თქვენ თქვენი დაბადების დღე – 10 იანვარი.

იცოცხლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ თქვენს შვილებთან – გიორგისთან და დემურისთან ერთად.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

მადლობა

გასული წლის 17 დეკემბერს ძლიერი შეტევითი ტკივილებით მიმიყვანეს საგარეჯოს ახლადგახსნილ საავადმყოფოში. მქონდა სამედიცინო პოლისი, რომელიც ძალიან დამეხმარა, მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა აქაური მედპერსონალის ყურადღებამ და პროფესიონალიზმმა. მინდა მადლობა გადავუხადო ექიმებს: **ევბენი ნიკოლაშვილს, ზურაბ პეტრიაშვილს, მედდას დარეჯან ბუზარიაშვილს, სანიტარ დალი ბურჯანაძეს.**

ლალი ალიბეგაშვილი-უნაფქოშვილი,
საგარეჯო

ძვირფასო მკითხველო, ითანამშრომლეთ ჩვენთან

ველით თქვენს აზრს, წინადადებას, შეკითხვას

_____

_____

_____

_____

_____

_____

რედაქცია

სიცოცხლე „სიცოცხლეში“ ლა პარეირა ქეკვლეები

ნიკოლოზი



გაბრიელი

ნანუკა

1 იანვარს ახლადგახსნილ სამედიცინო კლინიკა „life“-ში („სიცოცხლე“) სრულიად საქართველოს მეკვლეებად და ახალი წლის მახარობლებად სამი ქართველი დაიბადა: ნიკოლოზ ჩალათაშვილი (4კგ, 52 სმ), გაბრიელ ბოროშვილი (წონით 3 კგ 900 გრ, სიგრძე 52სმ), ნანუკა არჩვაძე (3კგ 750; სიგრძე51სმ).

მშვიდობისა და საქართველოს გამთლიანების, ერის ერთად დგომის ფეხი შემოგეტანოთ ნიკოლოზ, გაბრიელ, ნანუკა...

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488